



თელავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ქ. თელავი

16 აპრილი 2018 წ.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №48**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 35-ე მუხლის თანახმად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

მუხლი 1. 2018 წლის 23 აპრილს 11.00 საათზე მოწვეულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. თელავის მუნიციპალიტეტს საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის №01 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი  
11.00სთ-დან - 11.20 სთ-მდე

2. საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი  
11.20სთ-დან - 11.30 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. მ.ბაღუაშვილი  
11.30სთ-დან - 11.50 სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს №24 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“.

მომხს.მ.ბაღუაშვილი  
11.50სთ-დან - 12.00 სთ-მდე

5. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 ოქტომბრის №71 განკარგულებაში „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გათვალისწინებული 2018 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. მ.ბაღუაშვილი  
12.00სთ-დან - 12.10სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი  
12.10სთ-დან -12.20სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის შვებულების შესახებ.

მომხს.ა.თხლაშიძე  
12.20სთ-დან -12.30სთ-მდე

8. „სხვადასხვა“

მომხს.ლ.ლილუაშვილი  
12.30სთ-დან

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დაღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე